ცნობის ფურცელი
სურათებიანი დამატება

დამატების № 225. კვირა, 6 ივნისი 1904 წ. გაზეთის № 2516.

დამნაშავე

(მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან)

(შემდეგი*)

თეიმურაზ გოდორაძე იქნებოდა ასე ოცდა-თექვსმეტ ოცდა-ჩვიდმეტის წლის ქერა, ლამაზი, მაღალი და წამოსადეგი შესახედაობის კაცი. და კიდევაც ეს სილამაზე იყო მიზეზი, რომ ამ ათის წლის წინად, როდესაც უფრო ახალ-გაზრდა იყო, ისე გაგიჟებით შეუყვარდა თექვსმეტი წლის ლამაზ, კოპწია ფასოს,—გაექცა მშობლებს და დაიწერა ჯვარი თეიმურაზზე. ფასოს მამა—თავადი ალმასხან თავდიდიშვილი და მისი მეუღლე მაკრინე მოთმინებიდან გამოიყვანა შვილის ამნაირმა საქციელმა და, თუმცა თითონ ისე ღარიბები იყვნენ, რომ მათი ცხოვრება გლეხის ცხოვრებისაგან ბევრით არაფრით განირჩეოდა, თავი მაინც მოჰქონდათ თავადიშვილობით. მომაკვდინებელ ცოდვათ მიაჩნდათ უბრალო გლეხის გოდორაძის დამოყვრება და სრული უარი განაცხადეს ყაზახს, და იგიც კიდომ ჩემი სახლიკაცის ლაქიას, რავა წახვაო". მაგრამ დრო გადიოდა, ალმასხანიც ცხრებოდა და ბოლოს, რომ სრულიად ამოეღო შვილის ხსოვნა გულიდან, შვილის „გამოტირილიც" გამართა,—ვითომც მომკვდარიყოს: აწირვია მღვდელს, დაეთხოვა მის მოგონებას და მთელი თავისი სიყვარული მეორე შვილზე გადაიტანა.

ფასო კი შეშინებული, მაგრამ სიყვარულით აღფრთოვანებული და აღტაცებული, მოიყვანა თეიმურაზმა თავის ოჯახში მამასთან. თეიმურაზის მამა ონისიმე— სამოცის წლის, მაგრამ ჯერ კიდევ მხნე, მხიარული კაცი—ერთობ ააშფოთა ამ ამბავმა. დარწმუნებული იყო, რომ თავდიდიშვილები დიდი გვარის შვილები არიან და რამე საშინელ საქმეს აუტეხდნენ თეიმურაზს. იმის გულში კიდევ იყო ბატონ-ყმურ დამოკიდებულების შიშის გრძნობა, და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ერთის მხრით უხაროდა, რომ თავადიშვილის ქალი ეყოლება რძლად სახლში და, ასეა თუ ისე, დაუნათესავდება დიდ გვარს. კარგი შეძლებული ოჯახი ჰქონდა ონისიმეს: ოც-და-ათი ქცევა სახნავ-სათესი მიწა, მის დაუღალავ შრომით შენაძენი, სამ თვალიანი ოდა, ძველებური დე-



დახმარება გასაჭირში.—სურათი გ. გაუცესი.

შვილთან დამოკიდებულებაზე. პირველად გაფთრებული ალმასხან ხშირად ამბობდა: „წიწილასავით წავგლეჯ თავს ჩემს შემრცხვენელ ფასოიას, თუ სადმე შევხთი; რავა გაბედა, რეფნიანი წაბლის დიდი ფიცრული სახლი, რომელიც ახლა სამზარეულოდ გადაიქცა; ბეღელი, ნალია, ცხენი, ხარები, ორი თუ სამი მეწველი ძროხა მუდამ. სხვა წრილმან-წვრილფეხა ცხოველებზე არც კი ღირს ლაპარაკი. ცოლი დიდი ხანია მოუკვდა ონისიმეს და ოჯახს, რაც ქალიშვილი გაათ-

*) იხ. „დამატება", № 2023.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოვა, ერთის მოჯამაგირის დახმარებით უძლვებოდა. ერთად ერთი ვაჟი გახდა თუ არა თერთმეტის წლისა ონისიმემ შეიყვანა ოზურგეთის სასწავლებელში. მაგრამ დედ-მამისაგან და უფროსის დისაგან გაანებიებულ პატარა თეიმურაზს სწავლა არაფრად ეპაშნიკა. ერთი წელიწადი როგორც იყო გაატარა სასწავლებელში და როცა საზაფხულოდ დაბრუნდა შინ, შემოდგომაზე არას გზით აღარ წავიდა სასწავლად. ერთი თუ ორი წელიწადი თეიმურაზმა გაატარა მამასთან, შემდეგ კი, მთლად უსწავლელი რომ არ დარჩენილიყო, მამამ გაგზავნა ქუთაისს ხელზე მოსამსახურედ. იქ გაიზარდა თეიმურაზი, მომწიფდა და შეიყვარა ქალაქური ცხოვრება. შინ მამასთან დადიოდა ძვირად: აქ არაფერი არ იზიდავდა, არაფერი არ მოსწონდა და რამდენსაც არ ეხვეწებოდა ონისიმე, ნამეტნავად მას შემდეგ, რაც ქალიშვილი გაათხოვა, რომ დაოჯახებულიყო, ის ყოველთვის უარზე იდგა. არც მამის არჩეული საცოლოები მოსწონდა. იმ დროს, როცა ფასო მოიტაცა, ის იყო ლაქიად ფასოს შორეულ ნათესავ გენერალ ვახუშტი თავდიდიშვილის ოჯახში, რომელიც ზაფხულობით ხანდისხან ჩადიოდა სოფელში და ალმასხანის ახლოს სცხოვრობდა. სწორედ ამ დროს იყო, რომ სოფელში გაზრდილ პატარა ფასოს მოეწონა ლამაზი, მშვენივრად გამოწყობილი, ახალგაზრდა, არშიყობაში გაწაფული და დახელოვნებული თეიმურაზი: შეუყვარდა და დაუფიქრებლად დასთანხმდა ცოლობაზე.



შუადღე,—სურათი შერინისა.

ნამდვილ მამასავით შეიყვარა ფასომ მამამთილი, რომელიც სიყვარულითვე უხდიდა სამაგიეროს. სცდილობდა ესწავლა და გაეკეთებინა ყოველი საქმე ისე, როგორც მამამთილს მოეწონებოდა. თუმცა საქმის უჩვევს პირველად უძნელდებოდა მჭადის დაკვრა, ძროხის მოწველა და სხვა, მაგრამ ყველაფერს ხალისით ეკიდებოდა; მუდამ მხიარული, ცქრიალა, ხალისიანი, ახალგაზრდა ქალი ამხიარულებდა სახლ-კარს, მამამთილს და ქმარს, რომელიც ყველაფერს ერჩია. წავიდოდა თუ არა სადმე თეიმურაზ, მოუსვენრად სულ იმის მოლოდინში იყო. წამ-და-უწუმ გამორბოდა გარედ, იყურებოდა გზისკენ: თუ დაინახავდა მომავალს, მირბოდა რაღაც ბედნიერის სიცილით, ეკვროდა და შესცქეროდა თვალებში ქვევიდან ზევით; თუ არავინ ხედავდა, მოეხვეოდა ხელზე და უკოცნიდა ხელის გულს ჩუმად, უსიტყვოდ, მაგრამ ბედნიერის გრძნობით. თეიმურაზი კმაყოფილის ღიმილით ნებას აძლევდა ცოლს მოფერებისას.

ჩქარა ორსულობაც გამოაჩნდა ფასოს. ონისიმეს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა; თეიმურაზი კი უფრო გულგრილად მიეგება ამ ამბავს, თითქოს არ ესიამოვნაო. ფასოს პირველად გაუკვირდა, ეწყინა კიდევაც, მაგრამ ჩქარა შეეჩვია, დიდი მნიშვნელობა არ მისცა და ისევ უწინდებურად ალმერთებდა ქმარს.

თეიმურაზს არ უყვარდა სოფლური ცხოვრება. ის ჯაფა, რომელსაც დღე და ღამე მხიარულად ეწეოდა მამა მისი ონისიმე, მისთვის სატანჯველი იყო: სინანულით იგონებდა წარსულ თავისუფალ, უდარდელ დროს, როცა ნაირნაირ ჩოხით გამოწყობილ-გამოწკვერტილი ეკოხტავებოდა ქალაქის გოგოებს. აქ კი ძალა-უნებურად უნდა ემუშავნა; არც კოხტაობისა, არც მორთვა-მოკაზმვის დრო აღარ ჰქონდა. მიზეზად, რასაკვირველია, ცოლს სთვლიდა, რომელსაც ახლა შვილიც უჩნდებოდა. ჯავრი მოსდიოდა, უკმაყოფილო იყო და როგორღაც ინსტინქტიურად სდევნიდა მას: დაჟინებით თხოულობდა ყოველ სურვილის დაუყონებლივ ასრულებას. თუ რამე შესცდებოდა ფასოს ან კარგად ვერ გააკეთებდა, მაშინ უბრიალებდა თვალებს და ხანდისხან უყვიროდა კიდევაც.

წლის თავზე ფასოს გაუჩნდა შვილი. დაიბადა ქალი. ონისიმემ სიხარულით არ იცოდა, რა ექნა, „ბიჭი ყოფილიყო პირველი, კაი იყო, მარა აგიც ღვთის წყალობაა: რაც უნდა იკვანტალონ თავდიდიშვილებმა, გოდორაძის ქალი იგინის ბადიშია“, ამბობდა და უმატებდა: „აწე დამშვიდებული მოვკტები, რაღამც ამას კი მივესწარი. ბიჭი აწი დაბმულია სახლში“-ო. თავისუფალ დროს არ შორდებოდა ბავშვის აკვანს და ათასნაირ სასიყვარულო სახელებს უძახოდა. გახარებული იყო ფასოც, უხაროდა თეიმურაზსაც, მაგრამ დიდად არა.

— ბიჭი დაბადებულიყო, ვაჩვენებდი თავდიდიშვილებს: გავზრდიდი გემლაზიაში, ვაენი უჩილიშჩაში, თავდიდიშვილების ბატონათ—აფიცრად გამევიყვანდი, და ციცაი რა...—ამბობდა ის.

— მაგიც ქე მოგესწრობა, შვილო; შენ ყოჩაღად იყავი, იმუშავე: ცოლი კაი გყავს, ახალგაზრდები ხართ,—უპასუხებდა შვილს ონისიმე. მეზობლები, თუმცა თეიმურაზი არ უყვარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათ „დიდგულობიზა“, რომელიც თითქო აბუად იგდებდა ყველას, თავის თავს მაღლა აყენებდა და ლაპარაკშიაც „ოქმართულ-ურუსულებდა“, ფასოს სიყვარულით და პატივისცემით ეპყრობოდნენ; ფასოს „სრულიად არ ეტყობოდა ამპარტავნება: ბედნიერი იყო და სხვას არას ეძებდა ცხოვრებაში. მაგრამ ყველაფერს დასასრული აქვს ქვეყნიერობაზე და ფასოს ბედნიერებასაც მოეღო ბოლო.

შემოდგომის ერთ ცივსა და ავდრიან საღამოს დაბრუნდა ონისიმე ტყიდან, სადაც შეშის მოსატანად იყო, შეცივებული და მაშინვე ჩაწვა ლოგინში. მეორე დღეს მისცა სიცხე, ჯვალები დადგა და უზომოდ ხველა დაწყებინა. რვა დღეს ოტანჯა ონისიმემ და მეცხრეს რძლის ხელში დალია სული. ეს პირველი დიდი მწუხარება იყო ფასოსთვის, რომელმაც დაფიქრა და დაურღვია სულის სიმშვიდე. ამას გარდა საქმე ეხლა ერთი ორად დაწვა კისერზე. შინაურ წვრილმან საქმეებს: ხვადგის მოვლას, ბოგების გაწმენდა-დალაგებას, ღომის გაწყობას, სიმინდის დფშვნას, რომელსაც მამის სიცოცხლეში უფროს ნაწილად თეიმურაზი ეწეოდა, ეხლა ფასოს უნდა ეკეთებინა. თეიმურაზი კი ძალა-უნებურად მამის საქმეს უნდა შესდგომოდა. მძიმე ჯაფას უჩვეულ საქმე უჭირდა, ბოლომ მოსდიოდა და გულს ცოლის ლანძღვით იფარავდა. თანაც ბავშვი როგორღაც არ იზრდებოდა. აგერ თითქმის წელიწადზე მეტის იყო, ჯერ კისერს ვერ იმაგრებდა, თავიც ერთობ დიდი ჰქონდა. თან-და-თან ბავშს კუზიც გამოაჩნდა. თეიმურაზი უფრო-და-უფრო ბოროტდებოდა და სძაგდა ეს უშნო არსება. ფასო დაორსულდა მეორედ. თეიმურაზს ახლა იმედი მოეცა, იქნება ბიჭი დაიბადოსო. ცოტა მიწყნარდა, ისე აღარ შფოთავდა, მაგრამ მეხუთე თვეზე ფასოს ფეხი დაუსხლტა, დაეცა და წაუხდა მუცელი. ამ გარემოებამ მოთმინებიდან გამოიყვანა თეიმურაზი, გააბორტა და დაიწყო შურის ძიება. ხედავდა, რანაირად უჭირდა მძიმე მუშაობა ცოლს, მაგრამ უფრო-და-უფრო მოსდიოდა გული, უფრო მეტად უნდოდა ამოეყარა ჯავერი, მეტი გაეკეთებინა საქმე. ფასო გახდა, დაბაბუნდა და დასუსტდა. ბავშმა ცოტ-ცოტა იწყო ფეხის ადგმა, მაგრამ არც დედას და არც მამას არ ახარებდა. ერთობ ემსგავსი პატარა არსება იყო, რომელიც მხოლოდ დედის გულში იწვევდა სიყვარულს და სიბრალულს. ფასო კიდევ დაორსულდა და კიდევ წაუხდა მუცელი. გაბრაზებულმა თეიმურაზმა აღარ იცოდა როგორ ამოეყარა ჯავერი და ერთ დღეს ბავშს შემთხვევით „თავკობალა“ დაუძახა. დედას ეწყინა და პირველად გაუწია ქმარს წინააღმდეგობა.

— არ მეგონა ამისანი „ულერთო თუ იყავი? აწი აღარ წამოგცდეს, თორა რაცხა სა-

ია პ ო ნ ი ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი დ ა ნ
(საკუთარის კორესპონდენტისაგან.)

ია პ ო ნ ე ლ ი ს ტ უ დ ე ნ ტ ი.



მოაშორებენ ია პ ო ნ ე ლ ებ ი.



ლ ა ს ტ ე ბ ი ს ტ ა ნ ი ია პ ო ნ ე ლ ი ს ა.

შინელ საქმეს ვიზამ,—უთხრა მან ქმარს:—ბაღანაის რა ბრალია, რომ ღმერთმა ამისთანა გაჩინა.

— ხო, ხო, ხო, გამჯავრდა!.. საპრასე არ მომიჯენო, თუ ღმერთი ვწამს! ღმერთმა კი არა, შენ გამეყოფინე მაი თავკობალაი და შენ გიხაროდეს!—მიახალა თეიმურაზმა.

ფასო ატირდა ულონო ტირილით. ამის შემდეგ სხვა სახელი აღარ დაუძახნია თეიმურაზს შვილისთვის და, რაც უფრო მეტად უწამლავდა გულს ცოლს გესლიანის სიტყვით, მით უფრო იფხანდა თავისას. გავიდა ხანი, ფასო ისევ დაორსულდა. მაგრამ ციებ-ცხელებისაგან დასუსტებული იყო და მესამე თვეზე ისევ წაუხდა მუცელი. ამ გარემოებას აღარ მოუხდენია შთაბეჭდილება თეიმურაზზე. ის თითქოს შეეჩვია. ეხლა უფრო დამშვიდებით, მაგრამ უფრო სასტიკად ექცეოდა ცოლს. „გლახის დაბადებული ბაღანაი ვინ გეიგონაო“, იტყოდა ხოლმე ხშირად,—„კაი თუ ყოფილიყო, დედ-მამას არ გამიექცეოდა. მაგისგან ყორიფელ სიავეს უნდა მიელოდეს კაცი“.

ნინო ნაკაშიძე.

(შემდეგი იქნება)

ს ა ა რ ტ ი ს ტ ო ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა შ ი



არამიანცისა და განჯუმიანცის შორის მომხდარ ინციდენტის შემდეგ (განჯუმიანცმა მური წაუსვა არამიანცს, ხოლო ამ უკანასკნელმა რევოლვერი ესროლა, მაგრამ ვერ მოახვედრა) ქალალდის მოთამაშეთ თავს ადგანან დარაჯები და აქვე ახლო მოწყობილია პირსაბანი მურ-ცხებულთათვის.